

ი ს ს რ ი

გაზეთი «ისარა» ერთი წლით დიდი ტვილიში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთი თვით ტვილიში—75 კაპ. ტვილის გარეგან—80 კაპ. გაზეთის გამწვანება შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პერიოდით დღის 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხაზგადაჭერილი განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ სადამომს 5 საათამდე დღის 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მწვერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისარის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 4 საათამდე.

ხელმძღვანელი წერილები არ დაბეჭდვებიან, დაუბეჭდავ მიერ წერილები და კორესპონდენტებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მიმწოდებელი წერილებით პასუხისათვის საჭირო საუბრის მართვად პირადად მალაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე.

ადრეხის გამწვანება ტვილისიდან ტვილის გარეგან დღის 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ტელეგრაფული ფასები 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრეხი: ტვილისი, გლისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრეხი: Тифлисть, редакция «ИСАРИ»

დღევანდელ ნომერთან ერთად ქალაქ ტვილისში, თელავის, სიღნაღის, თიანეთის, ტფილისის, გორის და დუშეთის მაზრებში „ისარის“ ხელის მომწერლებს და ცალკე ნომრების მყიდველებს ურიგდება განცხადება ნაშენი ამერიკული ფაზის შესახებ (თავ. ქობულაშვილისა და ლ. გოგინიძის სანერგის)

მელანია თუმანიშვილისა, მისი დედა ნატალია, სოფიო და მაკრინე, შვილები ნადეჟდა, ვლადიმერ და კონსტანტინე და ძმები კონსტანტინე და ილია დიდის მშუბარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას:
პირველი—მეუღლის, მეორე—მამის, დანარჩენი ძმისა

გრიგოლ ნიკოლოზის ძის თუმანიშვილისას.
პანაშვილები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, გამოსვენება ორნაბათს, 22 ოქტომბერს, მალაქის ქუჩა, სახლი პრიბოროვისა, № 11. (3-371-2)

ნინო ტერ-დავითის ასული, გარეგანი ტერ-იოსების ძე, მარიამ გრიგორის ასული, გრიგორ და იხაი პირაღიანციანი გულითადს მშუბარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უღრუოდ ტრაგიკულად გარდაცვალებას:
პირველი—საყვარელი მეუღლის, მეორე—ძვირფას მამის, ხოლო მესამე—დაუღიწვარი ძმის ქუთაისის სომეხთა წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზის **იოსებ აიკიკიანისას**
გამოსვენება სამკებოა წმ. გიორგის ეკლესიაში იქნება 20 ოქტომბერს, ხოლო დაკრძალვა 21-ს. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე. (1-374-1)

გარდაცვალებულს
მღვდელს გრიგოლ ბერიშვილს
დაასაფლავებენ დღეს, 20 ს. ოქტომბერს წმ. ნინოს სასაფლაოზე. წირვა დანიშნულია წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. (1-374-1)

მარიამ მიხეილის ასული, ივანე, ალექსანდრე, დავით და ევა ხანდამიშვილები, ოლა ჯავახიშვილისა, სოფიო მარტირუშვილისა, პეტრე ხანდამიშვილი და მარიამ ელიაშვილისა და დარია მაკალოზიშვილისა მშუბარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და ამხანაგებს უღრუოდ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელი მეუღლის, მეორე—დაუღიწვარი მამის, ხოლო უკანასკნელი—ძმისა და სძის

ვასილ ზაქარაის ძის სანდამიშვილისას,
და სთხოვენ მოზრდინდნენ მიცვლებულს გამოსვენებაზე 22 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, ავლაბარში, „როზოვია პლოშადაზე“, სახლი № 1, საიდანაც მიცვლებულს წასვენებენ ავლაბრის წმ. მარინის ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. პანაშვილები ყოველ საღამოს 6 საათზე. (1-5-1)

მ. კ. ი. მ. ი.
ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერუდ ავადმყოფებს
იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9-დღე, კვირის დღეებში ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანის ქუჩა № 14.

მ. კ. ი. მ. ი.
ა. მ. შ. ა. ი. მ.
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოთი 5—6 საათ, გარდა კვირადღეებისა, კვირის დღეებისა და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ-უ—00)

კბილის ექიმი
ალ. სოლომონოვი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე, გოლოვიჩის პროსპ. № 12, სახლი მდებარეობს. (64)

დოქტორი მედიცინისა
ბ. ბ. გურგენოვი
ყოფილი საშტატო ორბიტარის ხარისხის უნივერსიტეტის საქალაქო ავადმყოფობის და ბენიკოლის კლინიკისა **გაბაძე** გოლოვიჩის პროსპ., № 12 სარატისკო სახ. თეატრის პირდაპირ. ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. (25-355-7)

კბილის ექიმი
ს. ბ. რომანიშვილი
მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე და საღამ. 4—6 საათამდე. მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის სამკურნალო გვერდით. (25-3-25)

კბილის ექიმი
ნიკოლოზ ბერიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე, ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0-203)

მუთაისში
კბილის ექიმი ქალი
მ. დ. ნასარაძე
იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარაძის პინაზე. (846)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხველაძე
დოქტორის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალთ ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (30-345-3)

დოქტორისა და რეფერანსის
სამკურნალო კაბინეტი
მისიელ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანის ქ. ვერაზე: საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (26-5-26)

მ. კ. ი. მ. ი.
ს. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალთ ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11/2. კვირის დღეებში № 9. (ოვ.)

ექიმი ქალი
ს. ზ. მირზოაშისა
მიიღებს თვალთ ავადმყოფებს ყოველ-დღე გარდა შაბათობით 11/2—21/2 სოლოლოვის ქუჩა № 6. (25-364-4)

ქ. ქუთაისში
მამიში ი. ი. ჩარბაქიძე
იღებს **განსაკუთრებით ვენერუდ, სიფილისიან და კანია ავადმყოფებს.** სწამლობს მუშუკებს, ძირმავრებს, ბუღინებს და სხ. უპირატესოდ **პროფ. ზეილის** მეთოდს. 12—2 საათამდე. გვერდის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. (27-5-14)

პასხალები
იმთა საყურადღებოდ, ვინც ბილეთები შეიძინეს 21 ოქტომბრისთვის **ნიკიტინის ცირკში დანიშნულ ქართულ წარმოდგენაზე** (ვარია ჩუბინოვის ბეჭდვით), რომ ვარია ჩუბინოვის ავადმყოფობისა გამო, ეს წარმოდგენა გადამდგა. შექმნილი ბილეთები გამოდგება 4 გიორგობისთვის წარმოდგენაზე „რენესანსის“ თეატრში. (1-375-1)

ქ. ტფილისის ვაჭართა ურთ-ერთ დამსწარმებელი
საზოგადოებრივი
დამაარსებელნი სთხოვენ საზოგადოების წევრებს, წესდების მე-11 §-ის ძალით, მოზრდინდნენ კვირას, 21 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, საზოგადო კრებაზე, რომელიც მოხდება ვაჭართა სტაროსტის კამერაში, ფრეილინის ქუჩა, № 4. კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები და მათი კანდიდატები. (2-373-1)

„ტფილისის სობრანიე“
მამა-ახლისთა საბჭო აუწყებს ბ.ნ. წევრებს და კანდიდატებს, რომ „სობრანიე“ საზამთრო სადგომში გადგა შაბათს, 20 ოქტომბერს, რა დღესაც გაიმართება საოჯახო საღამო. (2-369-2)

ქუთაისში
ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას, მოითხოვოს ფირალის პაპიროსი „**სიმბაბია**“ და „**ინტელიგენტი**“, რომელიც წმინდა „გრიგორის“ საუკეთესო პლანტაციების სუფლოვან თუთუნით არის შეზავებული და პროგრესიულად გაუმჯობესებული. (10-38-8) პატივისცემით **მ. ფიანაძე**.

წ-კითხვის საზოგ. მალაზიაში და ქ. ამსკიოსკში (ქაშვიტის ეკლესიისთან) იყიდება ახალი წიგნი

ნაპრღმი
(№ 2)
შინაარხი: „**ილია გრიგორის ძე ჭავჭავაძე**“ (წერ. მ. ჯანაშვილისა).—საგურამდომი: თავ. ი. გ. ჭავჭავაძის უკანასკნელი დღეები (წერ. არტურ ლევიჩისა).—საქართველო. მწერლობის და ილია ჭავჭავაძის მოგვაწვდის მოკლე განხილვა (წერ. აკვლავდის უნივერს. პროფეს. მორფილისა).—ურბნისის ხანარება ტემენდრ-ბეგის მეთოთხე საუკუნე. ხანარებასთან შედარებით (წერ. მ. ჯანაშვილისა).—ფაბი 20 კაპ. (3-უ-2)

ტფილისი, 20 ოქტომბერი.
თუქა პროფესიონალური მოძრაობა ჯერ კიდევ თავის საკუთარ ფეხზე არ დამდგარა, თუქა უდიდესი ნაწილი ჩვენებურ პროფესიონალურ ორგანიზაციასთან ჯერ ისევ პოლიტიკურ პარტიების დამატებას და მათ ხელშეწყობას დაწესებულებებს წარმოადგენენ, მაგრამ ეს ორგანიზაციები უკვე თვალსაჩინო ეკონომიურის ძალას იჩენენ და საქმობა ღრმად კვალს ამჩნევენ ხალხის ეკონომიურ ცხოვრებას. თვით ბუნება, თვით მიზანი პროფესიონალური ორგანიზაციებისა ეკონომიურია და არა პოლიტიკური; ამიტომაც თანთან ბუნებრივი აუცილებლობით სწარმოებს მათი ემანსიპაცია პოლიტიკურ პარტიების გავლენისაგან. ისეთი პარტიებიც კი, რომელიც მისწრაფების საგნად დასახული აქვთ, თავის პოლიტიკურ გავლენას დამოუკიდებლად პროფესიონალური ორგანიზაციები, ასეთი პარტიებიც კი უკვე იძულებულნი არიან ეს ნამდვილი მისწრაფება უპარტიობის პრინციპს ამოაფარონ და ამ პრინციპში გახვეული უზუზრად და ფარულად სკადონ გაბატონება პროფესიონალურ ორგანიზაციებზე. იმ ზოგად მიზეზებს, რომელნიც მიეზიდებიან მშრომელ ხალხის პროფესიონალურ ორგანიზაციებს უპარტიობისაკენ, ჩვენში კიდევ ის გარემოება ერთგვარ ზედს, რომ აქ მშრომელი ხალხი სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიებშია გაფანტული განსაკუთრებულ სოციალურ პირობების გამო. როგორც ზემოდ ვთქვით, თუქა ჯერ სრული ემანსიპაცია პროფესიონალურ მოძრაობისა პოლიტიკურ პარტიების ბატონობისაგან არ მომხდარა, მაგრამ ეს პროცესი ემან-

სიპაციისა უკვე დაწყებულია, იმისი თესლი უკვე ნაყოფიერ ნიდაგზეა ჩათესილი და მალე აუცილებლად შესაფერ ნაყოფსაც გამოიღებს.

რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელი ხალხისთვის მის პროფესიონალურ ორგანიზაციას, ამას ახსნა და განმარტება აღარ ესაჭიროება. ეს ყველასათვის თუ არა, მუშებისთვის მაინც უკვე ცხადია. მაგრამ რამდენადც ნათლად შეგნებული აქვთ მათ ეს მნიშვნელობა, ჯერ ჯერობით იმდენადვე მივიწყებული და თვალწინებული აქვთ **მომხმარებელ კოოპერაციების** მნიშვნელობა.

პროფესიონალური ე. ი. მწარმოებელ მუშათა ორგანიზაცია ბრძოლას წმინდა ეკონომიურს ნიდაგზე ეწევა კაპიტალისტებთან. ამ ბრძოლის მიზანია გაუმჯობესება შრომის პირობებისა და გადიდება შრომის ფასისა. რადგან ჩვენში მშრომელი ხალხი უფრო უწინ დირახა კლასიურ ორგანიზაციებში, ვიდრე შეძლებული კლასები, რადგან დღესაც პირველთა გაცილებით უფრო მტკიცე ორგანიზაცია აქვთ, ვიდრე უკანასკნელთა, ამიტომ ბრძოლით მათ უკვე ბევრად რამ მოახერხეს და პირველად შეხედვით თითქოს საგრძნობლად გაუმჯობესებულ მდგომარეობა.

რაც მუშა ხალხმა მოიპოვა, ის შეძლებულ კლასებს უნდა დაკლებოდა, ნამდვილად კი ეს ასე არ მოხდარა. რაც ნებით თუ უნებურად ამ კლასებმა მუშებს დაუთმეს, რაც მათ ამის გამო ზარალი უნდა ენახათ, იმას ისინი სხვა გზით ინახაურობენ. ეს სხვა გზა—ზარალზე გამოტანილ საქონლის ფასების აწევა ანუ ცხოვრების გაძვირებაა. ფასების აწევით შეძლებულმა კლასებმა თითქმის სრულიად დააღწიეს თავი ზარალს, შეიცვალა მხოლოდ ფორმა მათ მიერ მოგების აღებისა და არა თვით მოგების არსება. თუ ესლო მუშა უფრო ძვირად უჯდებათ, სამაგიეროდ მერს ახლენენებენ მომხმარებელს.

მომხმარებელი მთელი ხალხია, ხოლო იმისი უდიდესი ნაწილი კი ისევ სოფლის და ქალაქის მუშები არიან. ამიტომ თუ მუშებმა ერთის მხრივ სასტიკი ბრძოლით ცოტა რამ დათმოინდნენ შეძლებულ კლასებს, სამაგიეროდ მათ, როგორც მომხმარებლებმა უბრძოლველად, თითქოს სტიქიურად თუ მეტაწილა, ნაწლები არ დაუთმეს იმავე შეძლებულ კლასებს. სტატისტიკურის ციფრებით ამ ბოლანის დემონსტრაცია მეტად საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ასეთ სტატისტიკურ ცნობების მოგროვებაზე ჩვენში არაფერ არა ზრუნავს. უნებურად ჩვენს საკუთარს პირადად დავმყარობთ. ეს დავკვირვებას უნდა დავმყაროთ. ეს დავკვირვება კი უტყუარად მშრომლის, რომ თუ შრომის ფასმა ერთი მესამედით იმატა, ცხოვრება ერთი ორად გაძვირებული და, რაც ხანი გადის, უფრო და უფრო ძვირდება.

ცხადია, რომ მშრომელ ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მარტო-ლოდ პროფესიონალური ინტერესების ნიდაგზე ბრძოლა საკმაო არ ყოფილა. ცხადია, რომ ამ ბრძოლასთან ერთად საჭირო ყოფილა კიდევ ისეთი ბრძოლა, რომლის ნიდაგსაც მომხმარებლის ინტერესები შეადგენენ. მწარმოებელ მუშის გამარჯვება მხოლოდ მაშინ არის რეალური და არა ფიქტიური, როდესაც ეს მუშა არაფერს არ წააგებს როგორც მომხმარებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მხოლოდ ერთის ხელით ართმევს შეძლებულ კლასებს იმას, რასაც მეორე ხელით მას უკანვე უბრუნებს. როგორც წარმომების ნიდაგზე ბრძოლისთვის აუცილებელი საჭიროებაა მწარმოებელ მუშის ორგანიზაცია პროფესიონალური კავშირად, აგრეთვე მომხმარებლის ნიდაგზე საჭირო მისი ორგანიზაცია მომხმარებელ კავშირებად ანუ კოლექტივე-

ბად. მშრომელ ხალხის გამარჯვება მხოლოდ მაშინ იქნება რეალური და მტკიცე, როცა მომხმარებელი და საწარმო-პროფესიონალური ორგანიზაციები ხელისხელ ჩაქიდებულნი იქნებიან და მათ გზას შეუკრავენ კაპიტალისტებს, უკანვე გამოართვან მშრომელ ხალხს, როგორც მომხმარებელს, ის—რასაც უთმობენ მას, როგორც მწარმოებელს.

რედაქციონერთა პრესა
დღევანდელ პოლიტიკურ მომენტის შესახებ.

საკვირველი და გამოუტყვეველი ამბავი ხდება რედაქციონერთა ბანაკში. გამარჯვებს არჩევნებზე, მაგრამ სიხარულის ნაცვლად, სასოწარკვეთილებას მისცეს თავი და წინასწარბეჭდვით იერგმასავით ჰგოდებენ. ოფიციალური „როსისა“ ყოველდღე სწერს დიდის კმაყოფილებით—რუსეთი დამშვიდდა; მაგრამ დანარჩენი რედაქციონერები პრესის ბრახით უპასუხებს: რას ჩხახავ, რის დამშვიდება—ქვეყანა იღვლებოდა. „როსისა“ ცდილობს დაარწმუნოს თანამოაზრენი, რომ მთავრობა გამოიყვანს გასაქირიდან რუსეთს, რაკი ზომიერი სითათბირო იქნა არჩეული; თანამოაზრენი კი და მომხრენი სწორად მთავრობას უკეთებენ, რომ მისი პოლიტიკა საშინელ განსაცდელს უშვადებს რუსეთსაო. „პეტ. ველოპ.“, „სლოვო“, „გოლოს მოსკვი“ და სხვა რედაქციონერი და ზომიერი გაზეთები, რომელნიც გუშინ მოწინებთ მხარს უჭერდნენ მთავრობას, დღეს ისეთი ენით სწერენ, რომელთაც კიდევ იმის ორგანოებშია არ გვსმენია. აი, მთავალითა, როგორ ეცმათაა „პეტრებ. ველოპ.“ სტოლიპინის გაზეთს „როსისა“-ს, რომელიც ამტკიცებს—„ზომიერთა გამარჯვება არჩევნებზე რუსეთის დამშვიდების ნიშანი არისა“.

რის გამარჯვება? სადაა გამარჯვება? ჩვენ შინაურ დამოღისა და განწინის წინაშე მტრთადად გვეყვანება უკანასკნელ დღის დრულ დამარცხებამდე კი. შექმნილი მთელი მუშობა სრულდებით შეჭრად, ყველაფერი აირ-დაირა. ყველა მხრიდან მცხლეკვების თავს სხვაგა ათავსებენ ერთმანეთის საწინააღმდეგე მწვერილებმა, ცირკულიარი, ბრძანება, რომლებიც გაგრძელებული სდგას და ადარ ივის, რეგორ იცხოვრებთ. რუსეთი რაღაც მტკიცებათ გადაიქცა, ყოველ მათგანში საკუთარი განდამდებელია და საკუთარი განდებები: დრებით წყვები, საგაღმებულად დადგინებები და სხვა. რაც პეტრებურში აგრძალულია, ის მღვკავში ნება-დართულია და უკუდგა. ჩვენ დავკარგეთ შეგნება იმისა, რომ საკანონმდებლო, სასამართლო და საადმინისტრაციული უფლებათა შორის განსხვავება და დიდი სფეროა...

წინა დღით იგივე გაზეთი სწერდა: საზოგადოება უზრუნველ შეაქვევს მემარჯვენე სათათბირს, რეგორც ვნებოთა წარმომადგენლების კრებებს შეაქვევს უზრუნველ მამს წინად. საზოგადოება იტყვის: ეს ჩვენი ბარლამენტი არაა, ხალხის ნების ნამდვილი გამომთქმელი არაა. დამშვიდების მაგიერ საშინო მდგომარეობა გაგვიჩნდება. ბარლამენტს ყოველი გაგვინა დაეკარგება, რადგან ხალხის თვალში იგი უნებრად იარად იქნება მთავრობისა. განსხვავდება მთავრობისა და ხალხის შორის გამდიდრდება...

ბოლოს შეგარაშელთა გაზეთი პირდაპირ აცხადებს, რომ დღევანდელს პოლიტიკას, დღევანდელს მთავრობის რუსეთი ბეჯითად მიჰყავს მეორე რევოლუციისაკენ.

ამევე კილოთა სწერს „გამარჯვებულ“ ოქტომბრისთვის ოფიციალური ორგანო „გოლოს მოსკვი“:

განსაკუთრებულმა ზომებმა, რომელნიც ეხლა მიმქმედებენ რუსეთში და რემელთა მეფეებით ვითომ ქვეყანა დამშვიდა, შექმნეს ისეთი ატმოსფერა, რომ მთავრობა გაირყვნა. ადმინისტრაცია შეჭრისა იმ აზრს, რომ ყოველს შექმდგა, რომ თუ უნდა, წყალობის გათვალის, თუ არა და ყველაფერს შექმნება, ესეთი მდგომარეობა საშიშია, რადგან ადგენილი

ავტორიტატი საბოლოოდ დადგინდა რუსეთს.
 ამას სწორად იმ ოქტომბრისტიების გაზრდა, რომელთაც თავის ღრობაში სამხედრო-საველე სასამართლოების შემოღება მოიწონეს, რომელნიც განსაკუთრებულ ზომებს საჭიროდ სთვლიდნენ ყოველთვის; რადგან რევოლუციის უნდა მოისპოს და რომელიც მ იენისის კანონს „სამშენებლო აუცილებლობა“ აღიარებდნენ...

წაიკითხეთ ახლა რასა და როგორ ამბობს ნამინისტრალის ფეოლოროვის გაზრდა „სლოვო“:
 მთავრობას ახარებს გამარჯვება, ახარებს ქვეყნის დამშვიდება, ესე იგი, ახარებს გამარჯვება ძველის რეჟიმის დამცველებსა. გონს მოდით! არ გეხმისთ, რომ მენიკელები მთავრად რევოლუციისაზე, სამხედრო რევოლუციისაზე წინასწარმეტყველებდნენ და რევოლუციის გადმოტრეპას მითხრებდნენ? ეს წინასწარმეტყველება ფუჭი და უსაფუძვლო არ არის: მშვიდობიანი და მოშთმენი რუსის ხალხი მხეცვდება და მითმინებას ჰკარგავს. დროა, გონს მოხვიდეთ, დროა, პირდაპირ და გულწრფელად აღიარეთ, რომ რუსეთში ნამდვილი კონსტიტუციის დამყარება და ფართოდ სარქველში ხანა იწყება. დროა თავი დაანებოთ ორწოდობას და გვეხდით თამაშს, დროა უბრძანოთ თავგახუდ ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომ ახალ რეჟიმს დაუჭირონ მხარი...

„სლოვო“ და მასთან სხვა კონსერვატიული გაზეთებიც დარწმუნებულნი არიან, რომ დღევანდელ რეჟიმის განგრძობა და ნამდვილი საკონსტიტუციო წესების დანერგვა ახლო-მოშავალში საშინელ კატასტროფას გამოიწვევს...

როგორც ჰხედავთ, მთავრობას გადამგომას უბრძანებენ გუშინდელი მოკავშირეები: ოქტომბრისტიები, ზომიერები და კონსერვატორები; მის ერთგულ ყმად გადაქცევა მხოლოდ „ქეშმარიტ რუსთა კავშირი“, თუ სტოლიპინი პირდაპირ შეუდგება კონსტიტუციის დამარცხის და ძველის რეჟიმის სავსებით აღდგენას. ახლო მოშავალი გვიჩვენებს, საითკენ გადავას ფეხს მთავრობა, მაგრამ ჯერჯერობით იგი სდუმს და არც ფიქრობს გამაფრთხილებელი ხმები გაიგონოს.

ახალი ამბავი

სიკვდილით დასჯის ნაცვალად კატორგა. კავ. სამხედრო-საოლქო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადამწყვეტილი...

შეღებონი

ყოფნა რამ მ-ნ ნ. ე-ნის წიგნის შესახებ (შემდეგ)
 ბ-ნ ნ. ე-ნის, თითქოს დიდ ცოდვაში დაიჭირა ანარქისტებო, რიხიანად კითხულობს: „რატომ ანარქისტები ასე ღვიწმინდულებენ? რატომ ისინი ისტორიის ისე მიუღწეველად არ უტყვიან, როგორც ბუნების-მეტყველი ბუნებას? აჰა. იმერტომ, ბ-ნ ნ. ე-ნისა, რომ „ბუნება“ კაცის შექმნილი არ არის, ისტორია კი ადამიანის ნაშრომდარია, როგორც ეს თვით თქვენმა მარქსმაც აღიარა, რადგან არ შეეძლო სხვანაირად, თუმცა კი ძლიერა სურდა; იმერტომ რომ კაცისა და ბუნების შორის არის განსაზღვრული განწყობილება, როგორც ორ განშორებულ ზედ-მომქმედ ელემენტისა, ისტორია კი კაცის გარეშე არ არსებობს და აბსურდია ისტორიისადმი დაპირაკი უადამიანოდ, რომლის მოქმედება, აზროვნება, შეცდომაცა და ქეშმარიტების აღმოჩენაცა და სხვ. საერთოდ შეადგენს იმ ისტორიას; იმერტომ რომ თვით ადამიანთა „შეცდომანი“ ერთგვარნი მოქმედების წარმოშობანი არიან, და ამ მოქმედებებს თავისი შედეგები აქვთ მთელის ისტორიისაგან, მათი გააორიკება კვლევად ღებუნებრივი მხრით ანტიმეტყველებული საკვირის იქნებოდა; იმერტომ რომ თქვენ არ გეხმისთ არც თქვენი და არც სხვისი, თორემ მგას არ იტყვოდით. თვით მარქსმა არა შეკვა, რომ რაც უნდა იყოს, მინც თვითონ ადამიანები ჰქმნიან თავიანთ ისტორიასა? თვით მარქსმა არა შეკვა—უვარგისი არქიტექტორიც იმითი განიჩრევა საუკეთესო ფუნქციისაგან, რომ მისი შენობა ჯერ იდგეშია და მერე ხორციელდება? დაუკვირდით, რას ნიშნავს ეს მერე ნუღა

ტა ქეთ. გუბერნიის მცხოვრები ილიკო კერესელიც და დიმიტრი ლომიძეს, რომელთაც ჰბრალდებოდათ გენერალ-მაიორის დოლოზნაოვის სახელზე თავდასხმა. ტფ. გენ.-გუბერნატორმა ორივეს სიკვდილით დასჯა თხოუთერა წლის კატორგად შეუტყველა. თხოუთერა წლით კატორგადვე შეუტყველეს სიკვდილით დასჯა გორის მარხის მცხოვრებს ვლად. გულდეს, რომელსაც ჰბრალდებოდა ალი-შაქარ-ოღლის მოკვლა.

ნორმალურ დასვენების კანონპროექტი. დღეს, 20 ოქტომბრისათვის, სადამბოთი ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია შეგრობებული სხდომა იმ კომისიებისა, რომელთაც მინდობილი აქვთ ნორმალურ დასვენების კანონპროექტს შემუშავება.

სია. ტფ. გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, წარუდგინოს სია ქალაქის სკოლების მოსამსახურეებისა.

დაჭრა 18 ოქტომბერს, დამის 12 საათზედ, სურუ-კარაბაჯის აღმართზე ვილაცის დანიტ რამდენჯამზე დაუჭრა ყაზანის გუბერნიის მცხოვრები პავლე ლებედევი. დაჭრისათვის ჯიბიდან ამოიღოლია 1 მან. 50 კპ.

ხოლერა. ახალა აქვთ, ტფილისის გუბერნია ხოლერის მხრივ საშიშოდ გამოაცხადონ.

ფეკილი. კავკასიის უმაღლეს მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ თუ ტფილისში ფეკილის ნაწლებობა იქნება, საინტენდანტო უწყებამ ორი კვირის განმავლობაში აძლიოს ქალაქის თვით-მმართველობას ხუთას-ხუთასი ფუთი დღეში იმ პირობით, რომ შემდეგ თვით-მმართველობამ ისევ ფეკილად დაუბრუნოს.

ვაჭართა საზოგადოება. ტფილისში არსდება ვაჭართა ურთი-ერთ დამხმარებელი საზოგადოება. წესდება უკვე დაუმტკიცებია მთავრობას. ამ დღეებში მოხდება დამარცხებულთა კრება თანამდებობის კაცთა ასარჩევად.

ენისკოპოსად კურთხევა. არქი მანდრიტს დავითს (კახიძეს), რომელიც დაინიშნა ალავერდის ეპისკოპოსად, ტფილისის სიონის საკრებულო ტაძარში აკურთხებენ 4 ნოემბერს.

უმაღლესი კურსები. დღეს, სადამბოს ექვს საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლო (ლექსანდრეს ბაღი) პარიზის უმაღლეს სკოლის ლექტორი მის. თამაშვილი წაიკითხავს პირდაიწყებთ რაზარუს ისტორიის „მეორე გამოვლად განხილავს“.

განა მარტო მარქსმა სთქვა ეს ქეშმარიტება? იგი მხოლოდ იძულებული იყო განემეორებინა ცალკე ფრაზებით ის, რასაც მთელი ფილოსოფია და განსაკუთრებით მეცნიერებათა კლასიფიკაცია ლაზარაკობდა სოციალურ მოვლენებზედ, რომელიც შედგება წინამორბედ მოვლენათაგან დიდფერენტაციისა. მეცნიერებათა კლასიფიკაცია ის დიდი ღვაწლი დასდო საერთო ფილოსოფიის წინაშე, რომ მან, ერთის მხრით, დადგინა მეცნიერების ერთობა, აღნიშნა რა ორგანიული კავშირი მოვლენათა და მათ შემსწავლელ მეცნიერებათა შორის; მეორეს მხრით, განსაზღვრა განსაკუთრებული ხასიათი ცალკე მეცნიერებათა, რომელნიც შესაფერ მსოციალურ მოვლენებს სწავლობენ. ამ მხრით აბსტრაქტული სოციალოგია და ადამიანთა კონკრეტული ისტორია, როგორც განსაკუთრებულ საგნის მქონენი, პირდაპირი განგრძობანი არიან ბიოლოგიისა და ფსიხოლოგიისა; გეოლოგია, რომელსაც განიცდიან ადამიანთა საზოგადოებანი, განსაზღვრულია ყველა იმ ფაქტორით, რომელიც ადამიანს—ბიოლოგიურ, ფსიხურსა და სოციალურს არს—შეეჭვს მოვლენათა განსაზღვრულ სფერაში, და, რასაკვირველია, ყოველ ადამიანის მოქმედებას, შემცდარი, იქნება იგი შემუშავდარი, თავისი წილი უღვეს მთელ საზოგადოებრივ პროცესის შექმნაში. იდეა ადამიანისა უმთავრესი ძალაა ამ პროცესში, რადგან ადამიანი უწინაარეს ყოვლისა იღებს მქონე არსია, იგი ამ იღებს წყაროობით ხდება უმაღლესი სოციალურ წესად, ჰქმნის რა კონტრაქტს, რაც ერთადერთი დამახასიათებელია სოციალური ფაქტისა; მისი სოციალობა პირდაპირ დამყარებულია იმის ფსიხიურ თვისებებზედ.

ვლ ლექციას აღმოსავლეთის სარწმუნოებათა ისტორიაზე (ისლამი და ხალფეთი). ხვალ, კვირას, დღის 11 საათზე, იქვე მოხდება პირველი ლექცია გ. თუმანიშვილისა მიწის მფლობელობის კანონების შესახებ კავკასიაში. (ბატონებმა საქართველოში.—გლებთა განთავისუფლება.—შწერლობა ამ სავანზე და სხვ.).

ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებაში. სამხედრო საოქო სამართალში მისცეს ცხრავალი დავით ციტ-ნიშვილი და ვასო გოგოშვილი, შინდისელი ვანო თათარიშვილი და თვალსთუბნელი ქიტესა გოგოშვილი, რომელთაც ჰბრალდებოდათ სოფელ დიკის მცხოვრებს ივანე ბარიშვილზე თავდასხმა იგზავნიან ამახედრო წესების მოხსნამდე; ორენბურგის გუბერნიაში ა. მიკინიანცი; ურალის ოლქში—არსენ ტენაშვილი და ნიკო ონიანიშვილი. ხუთი თუშეთი დაჯარიმეს სახლის პატრონი კ. ტყევე.

საწვერო ფული. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სამკოს განკარგულებით, ხაზინადარმა ა. ჯ. ევანგელუოვმა წერილობით შეატყობინა სამეურნეო საზოგადოების წევრებს, თუ 27 ოქტომბრამდე არ შემოიტანთ 1907 წლის საწვერო ფულს, საზოგადოების წევრობიდან გაიზორიებული იქნებიან.

ხოლერა. სანაჩსა და იმის ახლო მახლო სოფლებში ხოლერა გაჩენილა.

საბეითალო საზოგადოება. ტფილისში დაარსდა კავკასიის საბეითალო საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს სამეცნიერო საკითხების განხილვა, რათა ხელი შეუწყოს კავკასიაში კარგის ჯიშის მანუარ საქონლის მოშენებას. საზოგადოების გამგეობამ სხობა კავკ. სამეურნეო საზოგადოების წევრებს, დაესწრნენ ხოლმე იმ კრებებს, როდესაც განიხილვენ ისეთს საკითხებს, რომელნიც საყურადღებო იქნება მეურნეობის განვითარებისათვის.

თავდასხმა. 18 ოქტომბერს კოლოკოლნი ქუჩაზე ხონის მცხოვრებს, მეორე გილდის ვაჭარს, გიგო ქავანიძეს თავს დასცემიან მტარკველები, რომელთაც მუჭარით ჯიბიდან ამოუტლიათ 45 მან. და ექვსილი 1000 მანეთისა. მკარცველებს გაეცარცვის შემდეგ ორჯელ პატიში რევოლუციური დაუტლიათ და მიშალულან.

ლექციები ყვავილის შესახებ. კვირას, 21 ოქტომბერს, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების სადგომში გიორგიევის ქუჩაზე დაიბრთება სახლობა ეს ჯერ კიდევ ოგოუსტკონტამ იყო მშენიერად. იგი თავის მეკინერებათა კლასიფიკაციაში პსიხოლოგიას; სოციალოგიაზედ ადრე იხსენიებდა; მარქსი ერთი იმ ადამიანთაგანი იყო, რომელმაც სამართლიანად შენიშნა—ყოველი უნიკო ადამიანი მითი განიჩრევა უნიკიერეს ფურტიოსაგან, რომ ადამიანის შრომა ჯერ იდგეში იხსტება, მერე კი ხორციელდება. თუმცა მარქსის უკიდურეს მატერიალიზმისაგან იგი მოსალოდნელიც არ იყო, მაგრამ ავტორტელობას ვერსად წაუტყობა ნ. ე-ნისა კი ამას ვერ მიხვდება თავის დღეში; რადგან მან არც მატერიალიზმი იცის და არც იდგეშიში ამ მხრით შეეცდარი არ არიან არც პრულდონი რომელსაც აინტერესებდა ისტორია როგორც იდგეათა სერია; არც კროპოტკინი და არც ალფრედ ფულერი, რომელნიც იდგეას დიდ ძალას აწერენ. ისინი მეცნიერულად მსჯელობენ, მაგრამ რასაკვირველია, კროპოტკინი, ფულერი და სხვანი მე-19 საუკუნის მეცნიერებს ჩაპორჩენენ, ბ-ნ ნ. ე-ნისა კი, რასაკვირველია, aa courtant არის მთელის მეცნიერებისა, განსაკუთრებით საბუნის-მეტყველო მეცნიერებისა, იგი დღის-მეტყველი არ არის.—ბ-ნ ნ. ე-ნისა რასაკვირველია, პოლემიკის საგანს ვერ გაივებს, რაცა ძლიერა სწევით ხვდნ ს. დ—ებს;—და იტყვის მარქსი და ენგელსი დიდ როლს აწერენ იდგეასა, ამასთანა მოჰყვება იწი ლო-პი-ლოს, მაგრამ მართალი ვითხრათ, ჩვენ არა ვართ ჩვეული ავთვის წესის მსჯელობის და ეხლა ვეტყვიან—აქ ამახედ სრულიად არ არის ლაზარაკი. „То — Матрена, а не Матрона“, ჩვენო აბიურბული პუბლიცისტებო!...

ლიბა, ტყუილია ჰგონია ბ-ნ ნ. ე-ნისა, რომ „შეცდომათა“ შემდეგ დაფასება ანტიმეტყველებული რამ იყოს. პირიქით—იგი ნამდვილი მეცნიერული წესია

ლექციები ყვავილის შესახებ. ლექციებს წაიკითხავენ: ექიმი ი. ვ. ბუხი რუსულ ენაზე—სადამბოს 6 საათზედ; ლ. ქალანთარიანი სომხურ ენაზე—სადამბოს 7 საათზედ.

განხის გუბერნიაში შეაპყრეს შუშის საბატარადან 11 ივლისს გაქვეყლი კატორგელი ნაკი-ტაკი-ადგილი.

24 ოქტომბერს ტფილისის ვაჭთა მესამე გიმნაზიის სადგომში ტფ. სასახლა შეიწვესიტეტის საშუაში სქვტია დაიქვეს საშუაში ენაზე დატყვების კათესას.

ხვალ, 21 ოქტომბერს, დღის 11 საათისთვის, დაიწყო საზოგადო კრება საშუა ქაჯთა საჭველმეჭველ საზოგადოებისა. კრება განიხილავს ანგარიშს 1907 წლის მოქმედების შესახებ.

18 ოქტომბერს პოლიცია დააპატიმრა ამას წინაღ ტფ. გენერალ-გუბერნატორის მიერ ვიატკის გუბერნიაში გადახსლებული ტფ. მცხოვრები ალი-ბაბა-ალაყვერ-ოლი, მაგრამ იქიდან გამოპარულა. ალი-ბაბასთან ერთად დაუპატიმრებიათ ვიატკის გუბერნიიდანვე გამოპარული მარხეთის ქვეშევრდომი ალი-ყული-მამად-ბაბულ-ოლი. დაპატიმრებული საგუბერნიაში აპატიმროში გაგზვნეს.

მიხეილის სადავმოლოში 18 ოქტომბერს მიიყვანეს დანიტ კიხრში დატრილი ივგრა ქუმლაური, რომელსაც თავისი თავი თითონვე დაუჭრია. ქუმლაური ქვაზე შემკდარი ყოფილა.

სტელპოვის ქუჩაზე პეტრე მა სვერის ბინაზე შეპარულა 18 ოქტომბერს ქურდი და ნივთები წაუღია. ქურდი იქვე დააპატიმრეს. იგი აღმოჩნდა გორის მარხის მცხოვრები ივანე ალი-ბეგოვა.

პრემსსა

ჩვენი გზა ისევ განაგრძობს თავის დემოკრატის. გამარჯვებით დამთვრალს სრულიად დამკვიწყრება გონიერებაც, კეთილ-ინიციისიერებაც და განსაკუთრებით უნარი მდგომარეობის ობიექტური განხილვისა და სხვის აზრების გაგებისა. დღიდან თავის გამარჯვებისა, სოციალ-დემოკრატები ბუქსა და ნალარასა სცემენ და აუწყებენ ქვეყანას, სოციალ-დემოკრატის წინააღმდეგ „ცრუ სოციალისტებმა“ (იგულსხმე ს. ფედერალისტები), ყველა ბურჟუაზიული გუნდმენტები, „ქეშმარიტ ქართველები“ და ნაციონალისტები შეეერთესო. სოციალ-დემოკრატების გაზეთმა ძალიან კარგად იცის, რომ სოც. ფედერალისტები ბოიკოტს უცხადებდნენ მესამე სათათბიროს, მაგრამ მანაც არა ცხრება და თავის საზოგადო კლინსწამებას წარბ-შეუხრებლად

მსჯელობისა. რასაკვირველია, რაც მობ, გათავდა, წარსულს ვერ დაიბრუნებ, მაგრამ ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ სხვა გზა არ იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ პირობები ისე მოეწყო, რომ ასე მოხდა უწყებელი რამ. მაგრამ შესაძლებელი იყო სულ სხვა ნიარად დატრიალებულიყო საქე, რომ პარობები სხვა ყოფილიყო. ამიტომაც დეტერმინიზმის მეცნიერული, სასარგებლო ხასიათიც არ არის, რომ მომავალში შეგვიძლიან სასურველი შედეგები მივიღოთ. მოგაწყობთ რა ამისათვის საჭირო პირობებს ამწყობთ; რომ ეს ხასიათი არა ჰქმნიდეს დეტერმინიზმს, ყოველად შეუძლებელი და უსარგებლო იქნებოდა ყოველი მეცნიერება, რადგან შეუძლებელი იქნებოდა პროგნოზი მოვლენათა. მარტებე მეცნიერებაში პროგნოზი შესაძლებელია, სოციალოგია კი იმისაკენ მიისწრაფვის, რომ ეს პროგნოზი საზოგადოებრივ მოვლენათა შესაძლებელი გახადოს. ამითი განიჩრევა დეტერმინიზმი ფატალიზმისაგან, რომელიც შეუძლებელ ჰყოფს მეცნიერებას, შეუძლებელ ჰყოფს რა პროგნოზს, ამიტომაც არის იგი მართლაც ღვიწმინდ მეცნიერების დამახასიათებელი. ამ მხრით სწორედ მარქსიზმი დღის-მეტყველება, და ეს ყველამ იცის, ვისაც კი რამე გაგება „დიოქრეტიკისა“.

მაგრამ საქმეც ის ირის, რომ ჩვენმა მარქს-მეტყველებმა მარქს-მეტყველება არ იცანი ქართველ ხალხს ერთი შესანიშნავი ანდა აქვს, რომელიც მხატვრის ნამდვილ მეცნიერულ დეტერმინიზმს: „ურემი რომ გავდებოდებოდა, გზა მაშინ გამოჩნდებოდა“. რამდენი უღრმესი რამ არის ამ ორიოდ სიტყვაში! 1. ურემი გადამბრუნდა და ეს ფაქტი გამოიწვია პირობათა განსაზღვრულმა კომბინაციამ, ე. ი. კანონი აუცილებლობისა (არა ბ-ნ ე-ნისი). 2. შემდეგ გამოჩნდა გზა,

მეთასევე იმეორებს. „ტფილისის გუბერნიაში, სოც. ქართველების გარდა, სხვა ერთგვარ ხალხს სტრუქტურა, „ქეშმარიტ ქართველებს“ გვერდში ამოუღდა და მარქს-მეტყველებს წინააღმდეგე“ სომხებმა—„ღიბთაგან“ სომხეთით, სოციალ-დემოკრატების მხარეში იცხადეს გლახი და თორი-გლახი, სხვა და სხვა ურდუნების გაბატონებული კლასები შეერთდნენ „წილეთი საფრთხი“ თავიდან ასაშორებლად.“

აფერუმ, პუბლიცისტო! ყველა ერთბის ყველა ბურჟუაზიული ელემენტები შეეერთა სოციალისტურმა პარტიამ, რომელიც ბოიკოტს უცხადებდა სათათბიროს, ამ ბურჟუაზიულმა ელემენტებმა ისარგებლეს იმ უპირატესობით, რომელიც მთავრობამ შეუძლებელი კლასებს მიანიჭა,—და გამარჯვებული კი მინც სოციალ-დემოკრატია გამოვიდა. ლოდი-კაც ასეთი უნდა! მ იენისის კანონის შემდეგ სოციალ-დემოკრატები ყოველდღე იმეორებენ, რომ საარჩევნო უფლება მთავრობამ მართა ბურჟუაზიის დაუჩინა, გლებებსა და მეურნეებს კი წაართვაო; მიუხედავად ამისა, დღეს გამარჯვების შემდეგ, სულ სხვანაირ ჰანგებზე დამდგრენ და სტლიობენ გულ-უბრყვილო მიითხველი დაარწმუნონ, რომ ისინი მშრომელ ხალხის არჩეულია, იმ მშრომელ ხალხისა, რომელიც, მათისავე სიტყვით, მთავრობამ სრულიად განდევნა საარჩევნო ბრძოლიდან. როგორ მოხდა, უფრო პუბლიცისტებო, რომ მთელმა ბურჟუაზიამ თქვენს წინააღმდეგ გამოილაშქრა, მან ისარგებლა თავის უპირატესობით, მაგრამ გამარჯვებულნი მინც თქვენ გამოხვედით? გონიერებას რომ სრულიად მოკლებულნი არ იყავთ, ნაილად დანიხავდით, თქვენი გამარჯვების მიზეზი რაშიც მდგომარეობს. დარწმუნებულნი ვართ, საარჩევნო ბრძოლაში რომ დამარცხებულიყავით, მაშინ სხვანაირ ჰანგებზე დაიწყებდით მცერას და დამარცხების მიზეზად საარჩევნო უფლებების შეზღუდვას დასახელებდით.

პატარა უკლები
 მარტუსტრას უკანასკნელი სიწყეა (გვიერთ)

როდესაც ხარატუსტრა ქალაქში შევიდა, უკვე ბინდებოდა და მზე დასავლეთს უახლოვდებოდა. მან მოედანზედ მრავალი ხალხი დანიხა. ზოგი იჯდა, მასსადამე, ისეთი პირობებში ყოფილა, რომელთაც შეეძლო ურემი არ გადაებრუნებიათ; მამ ურის ვადაბრუნება ყოფილა ერთი ნაწილი მრავალ შესაძლებელ ფაქტთა,—დეტერმინიზმი. 3. წარსულში გამოცდილი გაცვეთილი, შემდეგში ისე ვაატარე ურემი, რომ წინად განსაზღვრულმა პირობებმა იგი არ გადააბრუნოს,—პროგნოზი... ამ პატარა ანდაზის ანალიზი მინც რომ შეხედებოდა ბ-ნ ნ. ე-ნისა, არ იტყუა ზემოხსენებულ უმსგავსო და შორი-შორსა, მაგრამ რა ველაპარაკო ისეთ ადამიანს, რომელმაც ისიც არ იცის, რომ მთელი ისტორია ორგანიულ არსთა, მთელი ისტორია ადამიანისა—ეს სწორედ მთელათა ისტორია, ისტორია შეცდომათა და ქეშმარიტ ნაბოჯათა, ისტორია მუდმივ შეგუებისა, ისტორია მუდმივ ცდისა, რომელიც მეშვიდრეობით ცემა შთამომავლობას. ეს რომ ასე არ იყოს, აზრი არ ექნებოდა არც ისტორიის, არც მეცნიერებას. სადაც „შეცდომა“ არ არის, იქ არც ცდა ყოფილა, მაშასადამე, იქ არც ისტორია და ცხოვრება ყოფილა. ბ-ნ ნ. ე-ნისა, ყოველივე ეს გესმისთ? ვეუბრებო—იქნებ ჩემი პრაღი იყო, თუ არ გეხმისთ, მაგრამ თქვენ კუყასაც ძალა დაატანეთ, დალოცვილო!...

ამ აზრისანი არიან ის მეცნიერნი მინც, ვისაც მე ვიცნობ, კრიტიკოს კანტიდან და პოზიტივისტ ოგოუსტ კონტიდან დაწყებული თანამედროვე მეცნიერებამდე. ასეთები არიან ბიოლოგები ედმონდ ჰერკლი, ლენარტეკი, მენიკოვი და მათი წინამორბედნი—ლამარკი და დარვინი, რელიუ (ნ. ე-ნისის არ მოსწონს რელიუ, მეცნიერებას ასწავლის!), პუანკარე, სოციალოგი ტარდი და სხვანი.

მართლა, მენიკოვის სახელმა ცტა რამ მომგონა თვით ბუნების შეცდომებზედ. ჯერ ერთი, რამდენი ფილოსოფოსი იყო და არის ეხლაც, რომელიც ბუ-

